

ლოქსუმი

გაზეთი გაზეთის
1988 წლის
10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრის რაიონული კომიტეტისა და
ცენტრის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии
и Цагерского Районного Совета народных депутатов

№90 (6316) შაბათი,

28 ივლისი 1990 წელი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

სსრ კავშირის პანონიმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ

შოკშირებათა შექმნის პრაქტიკისა და იარაღის უკანონო შენახვის

შეშინების მიზნით ჩამოერთმევის შესახებ

გოლო ხანს ქვეყნის მთელ რაიონებში აღიღებოდა ხელისუფალთა წყურბლით იქმნება შეიარაღებული ფორმირებანი, რომლებიც არ შედიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი, საარქივო-გარეშისა და სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გასამხედროებულ ფორმირებათა შემადგენლობაში. ეს პროვოკაციულად იწვევს დაძაბულობას, ვითარების დესტაბილიზაციას, საფრთხეს უქმნის აღამიანთა სიცოცხლეს. ასეთ მოქმედებას თან სდევს იარაღის ხელში ჩაგდება, თავდასხმები სამხედრო მოსამსახურეებსა და მილიციის მუშაკებზე, სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე, უკავშირდება სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენას, იწვევს მსხვერპლს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა შორის. არცთუ იშვიათად ამ ფორმირებებში იზიდავენ სისხლისსამართლებრივ ელემენტებს და პირებს, რომლებიც თავს არიდებენ ნამდვილ სამხედრო მოსამსახურეში გაწვევას ან ღებურტირობენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისადმი.

იარაღის და ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა სამხედრო ქონების ხელში ჩაგდებასა და მათი შეძენის სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხებს ხელს უწყობს უპასუხისმგებლობა და სჯირობა ციკო ბენიძეს, რომ მოსავლელად გაყვანილი 15 გრამი მუროდან მიღებული პუნქტისათვის 80 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი ჩაებადნენ. ახალგაზრდა ქალი, სამი ვაჟის დედა კმაყოფილია გაწეული შრომის შედეგით.

ობა და ჯეროვანი წესრიგის უქონლობა მათი დაცვაშენახვის ორგანიზაციაში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ რიგ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში, სხვა სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციებში; იარაღის უკანონოდ დამზადება საწარმოებში, შეიარაღებულ ფორმირებათა დაფინანსება, მათთვის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მიცემა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლისა და სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტების შორის უფლებამოსილებათა გაიჯენის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის გამგებლობის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით. სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ყოველგვარი მოქმედება ასეთ ფორმირებათა შესაქმნელად, მათი მიზნების მიუხედავად, უკანონოა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 (3) მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ვადავნი:

1. სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებანი (შეიარაღებული გაერთიანებები, რაზმები, რაზმ-უელები, ქვედანაყოფები და

სხვა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები), რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით, უკანონოა და უნდა დიშალოს 15 დღის ვადაში ამ ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან.

ამავე ვადაში ამ ფორმირებათა იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა სამხედრო ქონება უნდა ჩაბარდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

ამ მოთხოვნის შესრულებლობის შემთხვევაში ხელისუფლების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, მათმა საუწყებო შინაგან საქმეთა ორგანოებმა, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ ასეთი იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების ჩამორთმევა; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა ქვედანაყოფებმა უნდა ჩამოართონ ისინი შესანახად.

თუ აღნიშნულ შეიარაღებულ ფორმირებათა მოქმედება საფრთხეს უქმნის მოსახლეობისა და სახელმწიფოს უშიშროებას, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს გამოიყენოს შინაგანი ჯარები, ხოლო ცალკეულ ოპერაციებში ნებადა-

გაითხვალს ვთავაზობთ:
მოქალაქე სახალხო მოსამართლის
საქონელს ელოდება.
მე-2 გვ.
თვალის ერთი გადავლივით.
მე-2, მე-4 გვ.
დინამიკური გვირგვინი—
ცისფერი სარწმუნო.
მე-8 გვ.



ერთი თვის მანძილზე დიდი და დაბალი, დაუსვენებელი

შრომა დასჭირდა ციკო ბენიძეს, რომ მოსავლელად გაყვანილი 15 გრამი მუროდან მიღებული პუნქტისათვის 80 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი ჩაებადნენ. ახალგაზრდა ქალი, სამი ვაჟის დედა კმაყოფილია გაწეული შრომის შედეგით.

სურათში: უსახელთურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზუბის უბნის მეაბრეშუმე ციკო ბენიძე.

შრომა დასჭირდა ციკო ბენიძეს, რომ მოსავლელად გაყვანილი 15 გრამი მუროდან მიღებული პუნქტისათვის 80 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი ჩაებადნენ. ახალგაზრდა ქალი, სამი ვაჟის დედა კმაყოფილია გაწეული შრომის შედეგით.

პენსიაზე ისტინდრელი გალინა ლიპარტელიანი, მაგრამ არც ერთ წელს არ ყოფილა, რომ აბრეშუმის პარკის მოსავლის საქმეში თავისი წვლილი არ შეიტანოს. მეუღლე ნაადრევად გამოეცალა ხელიდან, მაგრამ მიუხედავად თავსდებოდა დიდი მწუხარებისა, სულით მაინც არ დატოვებულა, ოჯახიც ბარაქიანი აქვს და ქვეყნის დოვლათის შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობს, დედას მხარში უდგას შვილი მარლენი. სხვა წლებსაგან განსხვავებით სწორედ ერთმანეთის

იმედით გაიყვანეს დედა-შვილმა აბრეშუმის მუროს და იმათ ვინც ამ დიდ საქმეში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს, რომ თუკი მონდომება იქნება, შეიძლება, თავისუფლად შეიძლება დიდი მოსავლის მიღება.

ჯ. მანდარი.

რაიონული საბჭოს აღმასკომში მოქალაქე სახალხო მოხმარების საქონელს ელოდება

რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი რაიონში სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამრეწველო საწარმოთა მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აღმასკომზე აღინიშნა, რომ რაიონში სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა. დაწყებულია და მიმდინარე წელს დამთავრდება სასურსათო კომბინატის რეკონსტრუქციის სამუშაოები. აქ უახლოეს პერიოდში მწყობრში ჩადგება უაღრესად სასამეღებო საამქროს ასალი შენობა, სპორტის საამქრო, მონტაჟდება ახალი ხაზები მუშაობის და კომპოტის წარმოებისათვის.

გასულ და მიმდინარე წელს გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე ადგილმრეწველობის კომბინატის მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზის და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ამაღლა წარმოებული პროდუქციის ხარისხი, როგორც სასურსათო კომბინატში, ისე ადგილმრეწველობის კომბინატში, მიმდინარე წლის გასულ პერიოდში ამ საწარმოებს უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის არცერთი მანეთის ჯარიმა არ გადაუხდიათ.

ადგილმრეწველობის კომბინატში მინიმუმამდე არის დაყვანილი წარმოებული პროდუქციის ხარისხი. ნაშთი, ხოლო სასურსათო კომბინატში ის 1990 წლის 1 იანვრიდან დღემდე ორჯერ და მეტად შემცირდა.

აღმასკომზე ამასთან აღინიშნა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის წარმოების მოცულობის გაფართოების მიზნით რაიონის სამრეწველო საწარმოთა მიერ გაწეული მუშაობა მთელი რიგი ნაკლოვანებებით და ხარვეზებით ხასიათდება. ადგილმრეწველობის კომბინატის მიერ არ სრულდება „ცაგერას“ რაიონის სახალხო მოსამრეწო საქონლის წარმოების სტერილ გაწვევების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა“. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია ამ კომბინატში 1990 წელს მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე 8 სხვადასხვა სახის ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. ფაქტურად მიმდინარე წლის დაგეგმვის დროს სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო ადგილობრივი რესურსების ბაზაზე დიდიგმა მხოლოდ ერთი, ხე-ტყის გადამუშავება, ისიც მცირე მოცულობით (25 ათასი მანეთი), საერთო

გეგმის 5 პროცენტი, წარმოების გეგმის უმეტესი ნაწილი კვლავ სამკერვალო პროდუქტია.

ადგილმრეწველობის კომბინატმა ვერ შეასრულა 6 თვის წარმოების და აქედან გამომდინარე რეალიზაციის გეგმები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 795 ათასი მანეთისა წარმოებული იქნა 697 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, რაც გამოწვეულია დაგეგმვასა და სათანადო ნედლეულით მის უზრუნველყოფას შორის შეუსაბამობით.

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო კომბინატში კვლავ დიდია წარმოებული პროდუქციის ზენორმატიული ნაშთები, აქ სისტემატური ხასიათი აქვს პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობას, რაც ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ კომბინატის ხელმძღვანელები ხელშეკრულებებს პროდუქციის რეალიზაციაზე დებენ იმის შემდეგ, როცა პროდუქცია უკვე დამზადებულია. პროდუქციის რეალიზაციის ისიც აფერხებს, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი რესპუბლიკის გარეთ გადის და კიბის მისი ტრანსპორტირება, რასაც აძნელებს აგრეთვე რკინიგზის სატვირთო სადგურებთან საჭირო სათავსოს უქონლობა. ეს საკითხი არაერთხელ დასმულა, მაგრამ ის ჯერჯერობით დადებითად არ გადაწყდა.

მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს აგრეთვე სასურსათო კომბინატის სამეურნეო ხელმძღვანელთა მხრიდან ხილის მიღება-გადამუშავების სეზონისათვის მზადების საკითხი, დღეის მდგომარეობით დაუმთავრებელია ახალი ტექნოლოგიური ხაზების დამონტაჟება და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით და-კომპლექტება.

კვლავ უმოქმედოდ არის წითერჩის რკინიგზის ნაკეთობათა ქარხანა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რაიონული აღმასკომმა განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები, დღემდე ფაქტურად არაფერი გაკეთებულა, ამ დროს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი კოოპერატიული საქმიანობით არის დაკავებული.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების 6 თვის გეგმა ვერ შეასრულა ცაგერის მოსახ-

ლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, ნაცვლად 80 ათასი მანეთისა, წარმოებული და რეალიზებულია 41 ათასი მანეთის საქონელი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე თითქმის არაფერი გაკეთებულა სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მისი დისლოკაციის გაფართოებისათვის. მომსახურების ობიექტების გარკვეული ნაწილი შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქ ცაგერში და მის მიმდებარე სოფლებშია, ხოლო ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ღვინის, ნაქურალის, უსახელის, ალვის, ოყურის სასოფლო საბჭოები, მომსახურების არც ერთი ობიექტი არ ფუნქციონირებს.

სამრეწველო საწარმოთა მიერ წარმოების და რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობა მათ გარკვეული ფინანსური სიძნელებები შეუქმნათ.

არც ერთ საწარმოში არ შესრულდა მოგების დაგეგმილი მოცულობა. სასურსათო კომბინატმა გასული 6 თვის შედეგების მიხედვით ნაცვლად 34 ათასი მანეთისა მიიღო მოგება 2 ათასი მანეთი, რაც არ იძლევა საშუალებას შემციროს გრძელვადიანი ვადაგადილებული სესხი, 6 ათასი მანეთით შეამცირა აგრეთვე მოგება ადგილმრეწველობის კომბინატმა, ხოლო რკინიგზის ქარხანას დღეის მდგომარეობით არც ერთი მანეთი არ ერიცხება თავის ანგარიშზე. მაშინ, როცა 13,7 ათასი მანეთი ვადაგადილებული სესხი და 15,3 ათასი მანეთი შეძენილი მასალების გაუნაღდებელი ღირებულება ერიცხება.

საწარმოთა ფინანსური სიძნელებები უარყოფითად მოქმედებს მუშათა მატერიალურ ანაზღაურებაზე, მცირეა მუშათა საშუალო ხელფასი.

იმის გამო, რომ აღნიშნულ საწარმოებში ფორმალურად არის შექმნილი და ფაქტურად არ ფუნქციონირებს შრომითი კოლექტივის საბჭოები, ის მუშათა შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე რაიმე გავლენას ვერ ახდენს.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოების და წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით რაიონის სამრეწველო საწარმოთა მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა სრულიად არასაკმარისად და დასახა ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ჩვენი ბიუჯეტი, ჯანმრთელობა, პატივი

პველას ერთნაირად გვაწუხებს, რომ ჩვენს ბაზრებში ყველაფერს ცეცხლი უკიდია. დავანებოთ თავი ოჯახის ბიუჯეტს, თუმცა დანებებ შენ თავი, როცა საშუალო ხელფასის ადამიანი თვეში 5-6 კილოგრამ ზორცს თუ იყიდის, აღარც პური უნდა, აღარც კარაქი,

თვალის

ერთი

გადაკლებით

აღარც შაქარი, არც სხვა რამე. მთავარი და საგანგაშო მაინც ისაა, რას ვკამთ, რით ვიკვებებით, რა მოვლის ჩვენს ჯანმრთელობას, ჩვენს მომავალს. საქმაო ზღაურია დღეს ამაზე ატეხილი, თუმცა დავიანებოთ, მაგრამ მაინც, ამიტომაც ბაზარზე ბევრი იწერება. ამ დროს კი რაიონული დაქვემდებარების ბაზრები ისე მიტოვებულია, თითქოს იგი დაწვეული იყოს სიძვირისაგან, ნიტრატებისაგან, სხვა უამრავი პრობლემისაგან.

ჩვენი ქალაქის ბაზრისთვის პარასკევი და კვირა, ასე რომ ვთქვათ, ყველაზე ხალხმრავალი დღეებია. და აი, ჩვენც 20 ივლისს, პარასკევს, დღის 12 საათისათვის ბაზარში ვართ. დახლებზე ბლომდაა ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებიდან შემოტანილი პამიდორი, კიტრი, მწვან-ილი, შენდაუნებურად გაიფიტრება: ჩვენს ნოყიერ მიწაზე მოწეული პამიდორიც თავისუფლად შეგვიძლია ამ დროისთვის გვქონდეს და კიტრიც, უფრო საიმედო,

უსასუქო, მაგრამ ვინ იცის, რა გვემართება, შენდა საუფლოოდ, აქ თუ ვერ შეიწვლით თავს, ქუთაისიდან წყალტუბო-დან ამოგვაქვს კიტრი, პამიდორი, ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო და... და აქ, მთაში მივირთმევთ. ამიტომ რა უფლება გვაქვს დავაფრთხოთ ეს ხალხი, ვინც ასე თუ ისე გვამარაგებს, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ ფასებს ადებენ, გასამეორებლად ენა ვერ მოგიბრუნდება. იმ დღესაც პამიდორი 3-4 მანეთი ღირდა, კიტრი — 2 მანეთი, მწვან-ილი — კონა 40 კაპატი, წიწილა 5-6 მანეთი.

ბაზარში დღის 12 საათისათვის არ იყო ყველი, ზორცი, ფქვილი და სხვა აუცილებელი პროდუქტი. ჩვენი ბაზრის სიღარიბეს მიჩვეული ვართ, მაგრამ რაც იყო, იმ პროდუქტების ვარგისიანობით დავინტერესდით. ბაზრის (დირექტორი ვ. კოპალიანი) მუშაგებთან საუბარში დავრწმუნდით, რომ ფასების რეგულირება და კონტროლი, პროდუქტების ხარისხისათვის ზრუნვა აქ თვითდინებაზეა მიშვებული. ბაზრის დირექტორი არ არსებობს, თუნდაც ერთი საბუთი იმისა, რომ უხარისხო პროდუქციის შემოტანისათვის საკუთარი ინიციატივით დაჯარიმეს ვინმე. პროდუქცია უკან დაუბრუნეს, ასეთი შემთხვევა იყოფილა, რომ ოყურშიდან შემოტანილ კიტრში ებიდადგურის ლაბორატორიული გასინჯვით აღმოჩენილა ნორმაზე მეტი ნიტრატები, თუმცა მეორე ანალიზის გაკეთებისას ეს არ დადასტურდა(?!).

ვეტექიმ დავით სალინაძეს ვეკითხებით, აქვთ თუ არა რაიმე ხელსაწყო ნიტრატების შემცველობის განმსაზღვრელი.

(დასასრული მე-4 გვერდზე).



ლაჯანის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე შექმნილ მოზარდთა გაჯანსაღებისა და დასვენების ბანაკში სულ 100 ბავშვი ისვენებს. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი შინაარსიანი გართობა-დასვენებისათვის. ზშირად ეწყობა კონცერტები, კონკურსი მხატვრულ კითხვაში, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებანი. სურბატში: ფიზკულტურის მასწავლებელი შმაგი ბურჯალიანი საბატიო სიგელს გადასცემს შეჯიბრებაში გამარჯვებულს. ზ. გომბაშას ფოტო.

რუსთაველი პილდომ გენიტოჟონაბი

რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის სიაში შეიტანეს ვიდუოშენიტოფონები, კომპიუტერები და მსოფლიო კლასის ტელევიზორები. საფინ-ლო აწყობის მიზნით მისი კომპონენტების მოწოდება საქართველოსათვის გათვალისწინებულია ავსტრიის ფირმა „ზურა-ტრონთან“ ხელმოწერილი კონტრაქტით. უკვე სექტემბერში მიიღებს სავაჭრო ქსელში ამ დუფ-იციტურ საქონელს.

— ბარტერული გარიგების თანახმად მთლიან დოლარს მიადევს, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს ქარხნის საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილების გამგე ა. ლურსმანაშვილმა, — წინანდელმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ლითონი საქონელზე კი არ გავცვალოთ, არამედ მის ნახევარფაბრიკატებზე. საწარმოს ჰყავს კადრები, რომელთაც საქმარისი

კვალიფიკაცია აქვთ იმისათვის, რომ უცხოური ტექნოლოგია აითვისონ. ამგვარად, ჩვენმა „შვილობილმა ფირმამ“ — სპ. „მარტენი“, რომლის თანადამაარსებელიცაა ქარხანა, აითვისა ტყაპუქებისა და შააღერის, გაზის ქურებისა და ხალხისათვის საჭირო სხვა საქონელის გამოშვება საუკეთესო უცხოური ტექნოლოგიით, შემდგომი ნაბიჯია მოწყობილობა „ნოუ-ჰაუ“-ს შეძენა, რათა ბაზარზე გამოუშვან დეფიციტური ნაწარმი.

(საქინფორმში).

თვალის კრთი

გადავლებით

(დასასრული).

მან მოგვიტანა მარტივი ტიპის ინდიკატორული ნაერბი, რომელიც ანალიზი კეთდება ავიღეთ პამიდორის, კიტრის, ხილის სინჯები. ერთი გამჟღავნების პამიდორის ერთ შემთხვევაში ნიტრატების დასაშვებ ოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, მეორედ „გასინჯვისას“—ნორმით გათვალისწინებული. ჩვენ ამ ხელსაწყოს გამოყენების ცოდნის პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ ვერც თავად ვეტყვიმ დასკვნა რაიმე საიმედო, საერთოდ ეს მარტივი ტიპის კომპერატორის მიერ გამოშვებული ხელსაწყო არა გვგონია დასაყრდენი იყოს, ამიტომ ჩვენ იქვე ვთხოვეთ, რომ აუცილებელია შეიძინონ ყველაზე უტყუარი ხელსაწყო, რომელსაც დღეს იყენებენ ბაზრებში, მანამდე კი ჩვენ აზრით რაიონის სანეიძლადგურის მუშაკებმა სისტემატური ლაბორატორიული ანალიზი უნდა აიღონ პროდუქტებზე, სხვა გზა არ არსებობს, რადგან ჩვენ ვნახეთ გარეგნულად ძალზე მკვირი და ჯანსაღი პამიდორი, რომელსაც შიგნით გული მთლიანად მწვანე და უმწიფარი ჰქონდა. გამჟღავნებით დიდხანს გვიხსნიდა, რომ ეს ჭიშიაო ასეთი, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, მისი ჭამა არ შეიძლებაო. საკვირველი ისაა, რომ ასეთი პამიდორიც, თუ იმ შემთხვევაში სეფიკატორს დავუჯერებთ, ჯანსაღი აღმოჩნდა.

საერთოდ ბაზარში ყველა შემომსვლელს როგორც წესი, უნდა ჰქონდეს სპილენძი ცნობა, რითაც უფლება ეძლევა პროდუქციის რეალიზაციისა, ჭერ ერთი პამიდორის 6 გამჟღავნებელი ცნობა არ ჰქონდა ორს, ან თუნდაც ჰქონდა, რამდენად უტყუარი საბუთი იქნებოდა ეს?

—ერთ ქუთაისელს ასეც უთქვამს: ფული იყოს და ცნობაც იქნება...

გამჟღავნებებს არ აცვიათ თეთრი სპეციალური, არ არის ნორმალური სისუფთავე, ახლა ზღუდულია და მით უმეტეს, იქ სადაც პროდუქტებია, ჩნდება ბუზი, არ არის ბუზის სპეცმერები, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული არაა საბაჟო ნიშნები, რითაც იქმნება ეჭვი, ესეც ხომ არ მოქმედებს სიძვირეზე?

ყველაზე ცუდია, რომ ფრინველიც და ცხოველიც კვების პროდუქტებთან ახლოს, ბაზრის წინ, გზა—მოედანზე იყიდება. ფრინველთა და ცხოველთა ფარდული ცალკე იყო, მაგრამ იგი ძალზე მოუხერხებელ ჰაობადგოლზეა და ამავე დროს გადაუხურავია, რაკი არ გამოიძენა უკეთესი ადგილი, აუცილებელია იმ ტერიტორიის ქვიშით ამაღლება, მოსწორება და გადახურვა. ეს არაა დიდ თანხებთან დაკავშირებული და დროზე უნდა გაკეთდეს.

ბაზრის ხელმძღვანელობას შეუძლია მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის ბევრი რამ გააკეთოს. შემოიტანოს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო... ამისათვის არ იწუხებენ თავს, მაგრამ რომ ჰქონოთ კომპერატორები (ვითომბა სავსე იყოს პროდუქტით), კონკურენციას უწევინ მათ ძვირადღირებული უზარისხო პროდუქციის გასაღების მოცდით, რაც არასწორი პოზიციაა.

ყველი ზევით ვთქვით დეფიციტია, 7 მანეთად იყიდება, მაგრამ თუ გამოჩნდა, არა აქვს ვიტეჟიმის დამლა, არადა რაიონში ბრუტელაზით და ტუბერკულოზით დაავადებული პირუტყვია.

ბაზარი რაიკომპერატორის კომპეტენციაში გადავიდა, ვის რა აქვს საწინააღმდეგო, მხოლოდ დახმარებაც მეთია საჭირო, ხელშეწყობაც და კონტროლიც. სხვა რომ არაფერი, აქ ისედაც მოკრძალებული გემგები არ სრულდება—8 თვეში 3910 მანეთის ნაცვლად ფულადმა შემოსავალმა 3207 მანეთი შეადგინა, კი მართალია ფასების რეგულირება არც არავის შეუძლია, მაგრამ გააკონტროლოთ ვინ შემოდის ჩვენს ბაზარში, გამოველაპარაკოთ ამ ხალხს, ასე არაა დამიანუად ნურც გავყვებით ფენ და ნურც მოგვწამლავენ.

შემდგომ დღეებშიც შევთავაზებ ბაზარში: მსხალი, ვაშლი, ატამი 2 მანეთად იყიდებოდა, ქლიავი 2 მანეთად.

ჩვენი ბუჭები, ჯანმრთელობა... ბაზარი—ეს ერთნაირად გვაღელვებს ყველას.

ვლ. დავითიშვილიანი
მ. ძნედაძე.

უენთერის, მკრთს მკრთს

ცაგერის წიგნის მალაზიაში მიღებული და გაყიდვითა შემდგეი სახის ლიტერატურა:

მ. გაჩეჩილაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, თბ. „საბჭოთა ქართველო“, 1990 წ.

წიგნში მოცემულია ქართული ლიტერატურის გამომჩენილი მკვლევარის, კრიტიკოსის, ფოლკლორისტიკისა და ხელოვნებათმცოდნის ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ზ. კიკინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ, 1904 წ.

ავტორი მოგვითხრობს საქართველოში ებრაელთა გადმოსახლების შესახებ. იგი ისახულებს, რომ საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში სასტიკად იღვენებოდნენ ებრაელები, საქართველოში მათ დიდი პატივით ღებულობდნენ და სრულიად უვნებლად ცხოვრობდნენ კიდევ.

თ. ლლონტი, ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა, თბ, „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისეული პუბლიცისტური მემკვიდრეობა მრავალმხრივია. ეს ნაშრომი მისი განხილვის პირველი ცდაა, იგი გამოიხსნის როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის, ისე ილია ჭავჭავაძის მდიდარი პუბლიცისტური და პრაქტიკული საქმიანობის შესწავლის მსურველ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნ. ჩხლაძე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბ, „საქართველო“, 1990 წ.


წიგნში შთამბეჭდავი შტრიხებითაა წარმოდგენილი უახლოესი ქართული და საბჭოთა ლიტერატურის ამაგდარი ქართველი მწერალი ქალების პორტრეტები, ამასთან მათი ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე უცნობი არა ერთი თვალსაჩინო დეტალი მიკვლეული და წარმოჩენილია. აქვე მოთხრობის პრობლემებისადმი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისეული პუბლიცისტური მემკვიდრეობა მრავალმხრივია. ეს ნაშრომი მისი განხილვის პირველი ცდაა, იგი გამოიხსნის როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის, ისე ილია ჭავჭავაძის მდიდარი პუბლიცისტური და პრაქტიკული საქმიანობის შესწავლის მსურველ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რობილა ლენინური ქალის დესპინე გელოვანის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც „მანოვანის“ ფსევდონიმით შემოვიდა მწერლობაში.

ლაო-ძი, დაო დე ძინი, თბ, „განათლება“, 1990 წ.

ჩველი ჩინური ფილოსოფიური თხზულება, „ლაო დე ძინი“, ანუ „წიგნი ზისა და სათნოებისა“ პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებად არის აღიარებული. შემთხვევით არ უწოდებიათ ამ წიგნისათვის გადმოპირქვევებული პირამდის წვერი, ოცდახუთი საუკუნის წინათ მასზე აღმოცენდა ერთ-ერთი უდიდესი მოძღვრება ჩინეთის—დაოიზმი. მანვე დაუდო სათავე ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობას არა მარტო ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ლაო-ძის თხზულება მეორედ ქვეყნდება ქართულ ენაზე. თარგმანი შესრულებულია ლერო ალიშონაკის მიერ.

სირსხვილი მათ!



რამდენჯერმე მიეთითა ქალაქის მცხოვრებლებს ალკეითიიყო ქუჩებში მოხეტიალე პირუტყვი. მაგრამ არ იქნა და არ დადგა საშველი, ყურად არავინ იღო ეს მითითება, გულთან არავინ მიიტანა.

სად არ შეხვდებით, ჩვენი პატარა ქალაქის რომელ კუთხეში არ ნახავთ მოხეტიალე ცხოველებს—ძროხებს, ღორებსა და ვირებს. რატომ არავის აღელვებს არსებული? დავიჭეროთ ვერავინ ხედავს ამას დღისით და მზისით? რატომ ვართ ინერტულნი? როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ჩვენმა ფოტოკორესპოდენტმა ზ. გომბაშამ ეს განებივრებული პირუტყვი მაშინ გადაიღო, როცა ქალაქის ცენტრში დასერილობდნენ.

მს საინტერესოა

აი მესმის სოკო

ბევრი ცნობისმოყვარე მოდის ალმა-ათის დაბალმანვანი აპარატურების ქარხნის მუშაის მ. რიშარევას საკარმიდამო ნაკვეთში. მოულოდნელი ვიზიტების მიზეზი გახდა სოკო-ფუნგუსურა, რომელიც ოჯახის დიასახლისის ბოსტანში გაიზარდა. როგორც აღმოჩნდა, სოკოს წონა არც მეტო, არც ნაკლები—თერთმეტი კილოგრამია!

ათ წელზე მეტია რაკ მარია მაქსიმოვნა ეწევა სოკოს მოშენებას—უმთავრესად ფუნტურისა და ქამასოკოს. მაგრამ წლებადღებდა მოსავალმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. იცის ფუნტურას გემო, სამაგიეროთ ყველასათვის როდია ცნობილი, რომ ფარმაცევტულ მრეწველობაში მისგან ძვირფასი სამკურნალო პრეპარატებს ამზადებენ. რაც შეეხება ამ ეგზემლარის წონას, ის, რასაკვირველია, უნიკალურია.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ნაილი ფუტყარაძე, გულნაზი კობალიანი, ვიოლა ზურაბიანი, ლეილა მეშველიანი თანაგრობას უცხადებენ რუსუდან ახელდიანს ძმის რეზო ახვლედიანის გარდაცვალების გამო.

ნანული, როზეტა ქვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რეზო დავითის ძე ახვლედიანი



იამფი დამურის ასულ ჯანაძეს
მეზარ ენუპის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ უღვე სიხარულს, შეილთა სიმრავლეს, ალპანის სამკერვალო ფაბრიკის №1 ბრიგადის თანამშრომლები



გოჩა გუჯუს ძე ლეთოდინს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სიმხნევეს, სიხარულით გაგველოს მთელი შენი ცხოვრება, მუდამ ისეთივე მეგობრული და გულსხმიერი ყოფილიყო, როგორც დღესა ხარ.

თინა ლეთოდინი, ბელა დავითიშვილიანი.

ჩვენი მისამართი: 884100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდიანის—22-87
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-86, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, სამწყობრო სამკაროს—22-28,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, 08:00-ში 66688, შეკვეთა 27 ტანფი 4000

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სატყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.